| გაზეთი ღირს | | | | |
|---|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



გაზეთი „ივერია" პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

სურათებიანი

**ვეფხის-ტყაოსანი**

მეიროფას უდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ,

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნთ-საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის-მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათზედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5—5)


ტფილისი, 30 ივნისი

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც საფრანგეთის გამოჩენილმა მეცნიერმა პასტერმა, დიდის შრომისა და მეცადინეობის შემდეგ, სძლია უძლეველი სენი ადამიანისა—ცოფი. ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი უმსხვერპლია ცოფს. სამეცნიერო ექიმობა ვერას გახდა ამ სენის წინააღმდეგ და ყველა თითქო დარწმუნდა, რომ ადამიანს არა ეშველება-რა, რაკი ერთხელვე ცოფი სხეულში შეეპარებაო, მაგრამ მეცნიერებამ თავი დააღწია ამ გაჭირებას და დღეის იქით ადამიანს ცოფის შიში არა ჰმართებს. იმაზე, თუ რა საშუალება შემოიღო პასტერმა, აქ ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგანაც ამას წინად „ივერიამ" ამ საგანს მთელი ერთი წერილი უძღვნა.

მას შემდეგ, რაც პასტერმა შემოიღო ცოფის აცრა, სხვა-და-სხვა ადგილებში გამართეს სადგურები, სადაც დაკბენილებს ცოფს უცრიან. რა თქმა უნდა, რომ კავკასიისათვისაც მეტად საჭირო იყო ამ გვარი სადგური, რადგანაც ჩვენში ძალიან ხშირია ცოფი. მკითხველს ეხსომება, რამდენი კაცი დაჰკბინა ამ ერთის წლის განმავლობაში ცოფიანმა ძაღლმა თუ მგელმა. იმ საბრალოებს დღემდის ჰგზავნიდნენ საექიმოდ ოდესაში. ზოგიერთს-კი არც ეს ბედი შეხვედრიათ და ისინი ცოფის მსხვერპლნი შეიქმნენ. ამიტომაც საექიმო მთავრობამ განიზრახა სადგურის დაარსება ტფილისში. ამის თაობაზე ჩვენ ვბეჭდავთ საექიმო მმართებლობის განკარგულებას და იმ წესს, რა წესითაც სადგური მიიღებს ავადმყოფებს. ამ რიგად ცოფიანის პირუტყვისაგან დაკბენილებს არც შორს ქვეყანაში მგზავრობა მოუხდებათ და არც საზოგადოებასა და იმათ მშობლებსა და ნათესავებს მოუვათ მეტი ხარჯი დაცოფებულთა საექიმოდ. ამ ჟამად სიხარული გვმართებს, რომ ჩვენც ვეღირსენით სადგურს, სადაც პასტერისებურის მეთოდით აუცრიან ადამიანს ცოფს. გასაკვირველი და სამწუხარო ის არის, რომ ცოფის ასაცრელი სადგური დღემდის არა გვქონდა გამართული. იმედი გვაქვს, რომ ამ სადგურის გამართვის შემდეგ ისეთს შემთხვევას არ შევესწრებით, როგორიც ამას წინად ქუთაისში მოჰხდა. მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად ქუთაისში ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა მთელი სახლობა. ამ სახლობას ქალაქის მმართველობამ ერთი თუმანი შეაწია და ამ რიგად საბრალონი თავიდგან მოიშორა. ვინ იცის, ამ საბრალოებს რა მოუვიდოდათ, თუ რომ ტფილისის სადგურის გამართვას არ მოვსწრებოდით. იქნება ეხლა მაინც გამოგზავნონ საექიმოდ ახალს სადგურში.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 30 ივნისს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნული იყო ცხრა მამული საჯარო გასასყიდლად. ამათში ოთხი მამული განთავისუფლებულ იქმნა გასყიდვისაგან, რადგანაც პატრონებმა გასყიდვამდე შემოსატანი ფული შემოიტანეს ბანკში, და დანარჩენთაგან გაიყიდა მარტო ერთი მამული და ბანკს დარჩა ოთხი მამული, ორი სოფლისა და ორი ქალაქისა.

*** ხშირად შემოგვჩივიან ხოლმე ტფილისის ვაჭრების უზრდელობასა და უსინიდისობაზე; ჩვენც არა ერთხელ მოგვიხსენებია, რომ ვაჭრები და მედუქნეები მუშტრებს უზრდელად ეპყრობიან, ყალბს სასწორსა და ყალბს სასწორის ქვას ჰხმარობენ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, კუზიანს საფლავის მეტი სხვა ვერა-რა გაასწორებსო. ეს ჩვენი წვრილ-ფეხა ვაჭრები და მედუქნეები ვერც კანონს შეუშინებია, ვერც მკვიდრთა მუდმივს ჩივილსა და გოდებას გამოუღვიძებია იმათი სინიდისი. ეხლა ერთი აქაური მცხოვრები გვწერს ერთს შესანიშნავს მაგალითს ვაჭრების უსინიდისობისას. მართლ-მადიდებელ სემინარიის წინ კვირაობით ერთი ვიღაცა თევზსა ვაჭრობს. ამ ვაჭართან მისულა ჩვენი მოამბე და თევზის აწონვის დროს ყალბობა შეუმჩნევია. თევზის ვაჭარს ისეთი სასწორი და ქვები ჰქონია, რომ, როგორც აღმოჩნდა, ჩეიდმეტის კაპეიკის საღირალს ხუთ შაურადა ჰყიდდა თურმე. როცა ვაჭარს შენიშნეს, ეს რა ამბავიაო, იმან იმის მაგიერად, რომ შერცხვენოდა, ყვირილი და გინება დაიწყო. როცა კანონი და წესი მოაგონეს, ვაჭარმა უთხრა მუშტრებს: „შპიონი" ხომ არა ხართ, რომ მემუქრებით; რა პატიოსნებაა სასწორის გაჩხრეკა; რიგიანი ხალხი მაგას არასოდეს არ იკადრებსო. საუცხოვო ნიმუშია ზოგიერთის ვაჭრების თავგასულობისა.

*** ამ ჟამად ტფილისში საშინლად დაკლებულია მანუფაქტურულის საქონლით ვაჭრობა. აქაურნი მოვაჭრენი, რომელნიც ადრე თვითონ იღებდნენ 18, 24% და მეტსაც, დღეს იძულებულნი არიან თვითონვე იქირაონ ამ პირობით სხვისგნით. საქონლის ფასი თავისს ადგილას დღე-დღეზედ მატულობს და ქალაქში-კი ძველს მაზანდაზე მეტად ვერ გაუყიდნიათ და ამიტომ ადრინდელი მოგებაც არ არის, რომ ამათაც თავ-თავისი გარდასახადი დროზედ მისცენ. ამათის მდგომარეობით სარგებლობენ ქალაქის ზარაფები (ბანკირები) და 5, 6 და 7½% უმთავრესის ბანკებიდგან კრედიტით გამოტანილს ფულს აძლევენ სესხად მოვაჭრეებს ზემოხსენებულის სარგებლითა, და ეს უკანასკნელნიც, ე. ი. მოვაჭრენი, ნდობის დასაცველად იძულებულნი არიან დასთანხმდნენ ზარაფების პირობაზე. ამას უნდა დავუმატოთ ისიცა, რომ წელს ვაჭართა დეპუტაციამ ტფილისის სახელმწიფო პალატის მოხელეთურთ, სავაჭრო და სახელოსნო დუქნების დათვალიერების დროს, შეუდგინა ბევრს ვაჭარს ოქმი იმის გამო, რომ იმათ, როგორც ნარდად მოვაჭრეთ, ეკუთვნისთ პირველის გილდიის მოწმობა და ბილეთი და არა მეორის გილდიისა, რომლითაც დღეს იგინი ვაჭრობენ. ამის გამოვე სახელმწიფო პალატამ დაადგინა, რომ ზემოხსენებულთ ვაჭართ უნდა აიღონ წელსა-

## ფელეტონი

ავარდა ბატონიშვილი,
ერეკლე ნათათრალიო,
შამაიარა არაგვი,
ფხიტუს[1]) დალახნა მთანიო,
სანეს[2]) დაიცა კარავი,
ხევსურნ დაიხვიენ ყმანიო...
იმედას ეუბნებიან:
გაგვიღე ბელის კარიო,
გამოგვიბძანენ დროშანი,
სამ სამ შაგვიბი ზარიო,
ხევსურებ დავეიმწყალობნე,
წაღმათებრ გვყავის ჯვარიო.
არაგვზედ ჩადის ხევსურებ,
წვიმის არ სწვდების ცვარიო!
თეალიეის[3]) ბოლოს ჩავროვდეს,
მთა დააშვენეს, ბარიო!
ურუმებს მაუჭერიან
საქალაქონი გზანიო;
გორ გარდიარეს ხევსურთა,
შარან გარდაელნენ მზანიო,
ჩავიდეს გორის ბოლოში,
ურუმთ საცა სდგა ჯარიო.
ცხენნი მაიღნეს ურუმთა
ისე, რო ნიავ-ქარიო!
თათარამ ბაჩინაგურმა[4])
თოფს დაუპირა ტალიო,
ურუმთ მემეტეს დაუკრა:
„ჩემიმც უმცროსი ხარიო,
მარტო ვერ შაოლ სულეთსა,
წინ შენ გამიღე კარიო!"
ლეედრება მაღლად ამადის:
ღულელ[5]) მანგია ვარიო,
სახელ ნუ დაიკარგება[6]),
თუ სად ვინ ხევსურ ხარიო!
ხელთ ხქონდა ლომნის მათრახი,
გიას ლაგმისა ტარიო;
დეზთ იკრავს ნაევგურაი,—
ჩალხურას ძეი ვარიო!
ცხენო, წავიდათ, წვრილაო,
დაეხიოთ ქართლის წყალიო;
თბილეთის ქალაქ წავიდათ,
მანდ მავა ხევსურთ მგზავრიო;
იქ მოვახსენოთ ერთადა,
როგორაც გვადგიყ ძალიო.
შაგვყარეს ხიდის ყურზედა,
ცხვრებულად დაგვჭრეს თავიო;
შინ წასულთ ხევსურთ იამბათ,
დარბაზს რა გვადგა ძალიო!
ამან დამრჩლებ ხევსურებ
იმედას დასდევს ბრალიო:
იმედა, რად წამაგვასხი,
თუ არ წადინოდ ჯვარიო!?
აღარც ხვიოდეს დროშანი,
აღარც უქცევდა ზარიო;
იმედა აღარა გვყვანდა,
ბატონის გამძღობარიო!
ციხეთა ბაცალიგურთა
მაღალ მახარონ თავიო;
ლაგაზა აღარ მაუა,
ლამაზ აქანევის ტანიო...

(ალუდა ზვიადაური)

[1]) ადგილია არაგვის ხეობაზედ.
[2]) ადგილია ხევსურეთში.
[3]) ფშაველების სოფელია არაგვის პირად.
[4]) ხევსურის სახელია.
[5]) სოფელი.
[6]) რადგანაც სხვა ურემი მე მოვკალიო.

**ანტონია გეზარეცი**

მოთხრობა მექსიკელთა ცხოვრებიდამ

(დასასრული *)

გავარღვიე ხალხი და არავის არაფერზედ პასუხს არ ვაძლევდი, ისე გავედი ბაქანზედ, სადაც რამდენიმე ყმაწვილი კაცი იდგა. რობერტი იმავე მდგომარეობაში იყო, როგორშიაც დავტოვე. ცრუ-მორწმუნეობის შიშით არავინ მიახლოვებიყო და არავინ მიჰკარებოდა. დავიმუხლისთავე. რობერტის სახე ფერ-მიმკრთალი იყო, თვალები ცადა ჰქონდა მიქცეული. კისერი მარცხენა მხრივ დასჭროდა და უეცრად, მსწრაფლად დაელია სული. თვალები დავუხუჭე და ავდექდი ჩემდა უნებურად.

როცა წამოვიწიე, ორივე პრეფექტები მომიახლოვდნენ და კიდევ დამიწყეს გამოკითხვა და გამოწვრილვა.

ანტონიას ოთახისაკენ გავეშურე და მინდოდა, რომ როგორმე კვლავ ამეცილებინა თავიდგან იმისთანა სახიფათო საქმეზედ ბაასი.

— მარტო ცნობის-მოყვარეობა-კი არ გვაიძულებს, ექიმო, თქვენს შეწუხებასა და თავ-მობეზრებას,—თავაზიანად დამიწყო ბაასი ერთმა მოხელეთაგანმა:—გთხოვთ გაიხსენოთ, რომ ჩვენ მართლ-მსაჯულების წარმომადგენელნი ვართ და რომ ოქმის შედგენა გვდევს ვალად. როგორ მოხდა? რა ამბავია, ადრევე განზრახული მკვლელობა იყო, თუ უბედური შემთხვევა და შაუბედითი უცაბედობა?

— შემთხვევაა, შემთხვევა,—ვუპასუხე საჩქაროდ:—ეს ამბავი დონ კარლოსს თავისის გაუფრთხილებლობით მოუვიდა და დიდხანს, საუკუნოდ გლოვასა და წუხილში იქნება კიდეც ამის გამო. ეხლა-კი მომიტევეთ, ბატონებო, მანამ თქვენთვის მოვიცლიდე და ყოველსავე ნახულს გარდმოგცემდეთ, დონა ანტონიასა და დონ კარლოსს უნდა მივხედო, რადგან ცუდად არიან და იმათი მდგომარეობა მეუიქრება. ცოცხალნი ჩემთვის, თქვენც მოგეხსენებათ, უფრო საზრუნველნი არიან, ვიდრე მკვდრები. შენ ეჰეი,— მივუბრუნდი ინდოელს, რომელიც დონ კარლოსის სახლში ხელზე მოსამსახურის თანამდებობას ასრულებდა,—აქ მოდი, ბატონმა გიკითხა.

ხელი წავკარ, შევაგდე ანტონიას ოთახში და მეც უკან შევყევი. ეგონებ პრეფექტებსაც ძალიან გულით უნდოდათ შემოსვლა. მე კარები საჩქაროთ მივახურე, ვიცოდი, რომ ძალათი არავინ შემოჰბედავდა. მექსიკის მთავრობა,—იმისდა საქებრადა და სადიდებლად უნდა ითქვას,—სხვა ქვეყნების მართლ-მსაჯულებისაგან იმითი განირჩევა, რომ მეტად თავაზიანია, იგი ადამიანს გულში არ უძვრება და უფრო მზად არის ბრალეულნი უბრალოებად ირწმუნოს, ვიდრე უბრალოთ ავაზაკობა და სისხლის-მსმელობა დასწამოს. ძკირფასი გულკეთილობა, თუ გინდათ, ეს არის!

ავადმყოფის მდგომარეობა სრულიად არ შეცვლილიყო ჩემს იქ არ ყოფნაში. ანტონიას კვლავ ეძინა და, როგორც ემჩნეოდა, მშვიდობიანადაც უნდა სძინებოდა. ხოლო რა იყო ეს ძილი? წარსულის უძილოდ გატარებულის ღამის უძილობას ისრულებდა, თუ გაბრუებულის ტვინის შესასვენებლად და დონეზედ მოსაყვანად მოვლენოდა. ანტონია რომ ჰკვიდგან შეიშალოს?! ამ ფიქრმა ამაძგერა და შემაკრთო. თუმცა ისიც-კი სათქმელია, რომ თუ ცოცხალი დარჩებოდა საბრალო ქალი, ისევ გონების დაკარგვა, ჰკვათა-უმყოფელობა ერჩივნა, რათა გამოვლილი ტანჯვა-წამება დაევიწყებოდა. ვიდრე ყმაწვილის ქალის გაღვიძებასა და გამოფხიზლებას დაეიწყებდი, ჭეშმარიტების შესატყობრად, დონ კარლოსთან მივედი. იგი ჩემს ოთახში შესვლისათანა.

*) იხ. „ივერია" №№ 121, 124, 125, 126, 128, 129, 130 და 132.

ვე პირველის გილდიის მოწმობა და ბილეთები და ამასთანავე თვითოეულს მათგანს დაადვა ჯარიმა 50—300 მანეთამდე. მეორე გილდიის მოწმობა და ბილეთი უჯდებოდათ 160 მანეთი, პირველის გილდიისა-კი დაუჯდებათ 840 მანეთამდე და, რასაკვირველია, ესეც დიდად დაემჩნევათ მოვაჭრეებსა. საქონელზედ ფასის მომატებაც უძნელდებათ, რადგან მუშტარი ცოტაა და ამ გარემოებათა გამო ბევრი მათგანი სარგებლობის მაგიერ ზარალობს კიდეცა. ბევრმა მოვაჭრემ აალაგა დუქანი და სხვა საქმეს დაადგა და, როგორცა სჩანს, კიდევ ბევრი დაჰხურავს თავისს ვაჭრობას საბაზაზო საქონლითა.

*** ამ დღეებში სიონის ქუჩაზე და შუაბაზარში, ქალაქის ტეხნიკოსების დადგენილების ძალით, დაიწყეს ძველის ფარდულებისა, ფიცრულებისა და აივანების დაქცევა, უბედურ შემთხვევათა ასაცილებლად. თუმცა ჯერ კიდევ აქცევენ ფარდულებსა და სხვათა და ძველი მასალა და ნაგავიც ბევრი ჰყრია ქუჩებში, მაინც ეს ქუჩები კარგი სანახავია და თითქოს განიც მოემატა. ამ სიკეთესთან კარგი იქნებოდა, რომ იმ სახლებში, სადაც სწარმოებს ამ გვარი მუშაობა, აღუკრძალონ მოვაჭრეთა და ხელოსნებს დუქნების გაღება, რადგან გაფრთხილება ძნელია და შესაძლოა ვისმე დიდი უბედურება შეემთხვას. ჩვენ ვნახეთ, რომ ერთის მკერვალის დუქნიდგან, სადაც აქცევდნენ ფარდულს, გამოდიოდა დუქნის შეგირდი ბიჭი და ცოტა გასწყდა, რომ დასცემოდა ამ შეგირდს მთელი კოჭი, რომელიც დაქცევის დროს შეუმჩნევლად ჩამოვარდა ზევიდგან.

*** ვიცე-პრეზიდენტს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისას მიუღია შემდეგი დეპეშა ყიზლარისა და იმის ახლო-მახლო ადგილების ბაღ-ვენახების პატრონებისაგან: „ყიზლარისა და იმის ახლო-მახლო ადგილების ვენახები სრულიად დაზიანებულია რაღაცა ახალის ავადმყოფობით, რომელსაც აქ არავინ მოსწრებია. ვენახს ფოთოლი და მარცვალი სცვივა, ვაზის რქებიც დაზიანებულია. ავადმყოფობა დიდი ხანი არ არის, რაც გაჩნდა, მაგრამ ვენახები საზარელი სანახავია. გაცნობებთ ამას თქვენ, ვითარცა იმ საზოგადოების მეთაურს, რომელსაც საგნადა აქვს იზრუნოს კავკასიის მეურნეობის წარმატებისათვის". ამ დეპეშაზე ხელი უწერიათ ბ-ნთ მამაჯანოვს, მიშველოვს, იზმიროვს და პაპოვს.

*** კავკასიის სამოქალაქო უწყების საექიმო მმართველობა აცხადებს შემდეგს: „თანახმად კავკასიის ოლქის მხედართ-მთავრისა 1888 წლის პირველ ივლისიდგან ტფილისში ჰიგიენურ ლაბორატორიასთან (ტფილისის საათვიაქო მაღაზიის სადგომში, რიყის ქუჩაზე, იუნკრების სასწავლებლის მახლობლად) გამართული იქნება სადგური, სადაც პასტერისებურის მეთოდით ცოფს აუცრიან ცოფიან პირუტყვებისაგან დაკბენილებს როგორც სამხედრო უწყების კაცებს, აგრეთვე სამოქალაქოსასაც. ამასთანავე საექიმო მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ახალს სადგურს არ ექნება ბინა ავადმყოფთათვის, ხოლო ცოფს უფასოდ აუცრიან მოსიარულე ავადმყოფებს, ქალაქის მცხოვრებლებს და სხვა ადგილებიდგან მოსულებს. ვინც სხვა ადგილებიდამ მოვა, იმათ საზოგადო წესისამებრ ფასით დააბინავებენ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში. შესაძლოა აგრეთვე კერძო სადგომში დააბინავონ თავ-თავიანთის ხარჯით და ან იმ საზოგადოებათა და დაწესებულებათა ხარჯით, რომელნიც დაკბენილებს გამოჰგზავნიან ტფილისში. ჯარის-კაცთ-კი, რომლებსაც ტფილისში ჩამოიყვანენ საექიმოდ, დააბინავებენ კავკასიის მეხუთე ზურგის ქვეითა ბატალიონში, რომელიც სადგურის მახლობლად ბინადრობს.

*** სოფ. ალვანი (კახეთი): ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენში გახშირდა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, და ექიმი-კი არა გვყავს, რომ გაჭირებულებმა თავს ვუშველოთ. მართალია, გვყავანან ექიმები თელავსა და თიანეთში, მაგრამ ეს ადგილები ჩვენზე ისე დაშორებულია, რომ მეტად საძნელოა იქიდამ ექიმების დაბარება. ვართ მინებებულნი ღვთის ანაბრობაზე და არ ვიცით, როდემდე უნდა ვიყვნეთ ამ მდგომარეობაში. ვსთხოვთ მთავრობასა, ერთი ფერშალი მაინც დაგვინიშნონ, რადგან ფერშლის ხარჯს კიდევ აუვალთ და შორიდგან ექიმების დაბარებისას-კი ვერა.

*** სოფ. ხევი თითქმის საქართველოს ყველა კუთხეებიდამ სამდურავი ისმის ცუდის დარების გამო, მაგრამ ჩვენ, ხეველები-კი მადლიერნი ვართ წლევანდელის წლისა სწორედ ისეთი მშვენიერი გამუდმებული ქუქუნა წვიმებია, რომ კაცი უკეთესს ვერ ინატრებს. რადგანაც ამისთანა ამინდები ძლიერ კარგია აქაურის ქვიანისა და ქვიშიანის დედამიწისათვის, ამიტომ სხვა წლებზე უფრო კარგს მოსავალს მოველით, თუ ამინდმა არ გვიმტყუნა და თუ დღეის იქით გვალვა არ დაუდგა ქირნახულსა.

## უცხოეთი

გერმანია. ამ ჟამად არავითარი ეჭვი აღარ არის, რომ იმპერატორი გერმანიისა ჰნახავს რუსეთის იმპერატორს პეტერბურგში, ან ამ ქალაქის ახლო-მახლო ადგილში ასე 2, ან 3 ივლისსა. ამბობენ, რომ ამ ნახვას დიდი საპოლიტიკო მნიშვნელობა ექმნება, მით უფრო, რომ ჯერ მიცვალებულის იმპერატორის ფრიდრიხის გლოვის ვადა არც-კი გასულა და დღევანდელმა იმპერატორმა მაინც გარდასწყვიტა რუსეთს წასვლა და ნახვა რუსეთის იმპერატორისაო.

— ვენის გაზეთები სწერენ, რომ, მართალია, რუსეთისა და გერმანიის იმპერატორებს საპოლიტიკო მოლაპარაკება არა ექმნებათ-რა, მაგრამ მაინც საქმე ისე გადასწყდება ამ ნახვის დროს, რომ ავსტრია და რუსეთი ერთმანეთს მოურიგდებიანო. ავსტრია თავისს გავლენას დაამყარებს სერბიაში, ხოლო რუსეთი—ბოლგარიაშიო.

— ელზას ლოტრენ ში გადაუწყვეტიათ, რომ თვით იმპერატორს მიეართვათ ქაღალდი და ესთხოვოთ გააუქმოს დებულება პასპორტების შესახებ, რადგანაც ამ დებულების გამო ძრიელ შეეიწროვდა ვაჭრობა და აღებ-მიცემობაო.

ინგლისი. წარსულს კვირას გლადსტონმა სიტყვა წარმოსთქვა ერთს თავისის მეგობრის სახლში გამართულს ბანკეტზე. გლადსტონმა ილაპარაკა უკანასკნელის არჩევნების მნიშვნელობაზე და ბოლოს ის აზრი დაასკვნა, რომ ირლანდიის საქმე პირველი საზრუნავი საგანი უნდა იყოს ეხლა სხვა საზრუნავ საგანთა შორისაო. დღევანდელმა სამინისტრომ-კი ისეთი პოლიტიკა შემოიღო ირლანდიაში, ისე ძალ-მომრეობს, რომ ისტორიას არ ახსოვს ასეთი საქციელიო. დასასრულ, მოხუცებულმა მოლაპარაკემ სთქვა, რომ დარწმუნებული ვარ, ირლანდია, ესე იგი, თავისუფლება, სამართალი და სათნოება ბოლოს და ბოლოს თავს გაიტანს და გაიმარჯვებსო.

— 19 ივნისს უნდოდათ დიდი კრება გაემართნათ ტრაფილგერსკვერში, მაგრამ პოლიცია ჩაერია ამ საქმეში და გაჰფანტა კრების გამართვის მსურველნი. შეიპყრეს რამდენიმე კაცი, რომელნიც დაბეჭდილს წიგნებსავრცელებდნენ მთავრობის საწინააღმდეგოდ.

ამერიკა. სან ლუის შტატში დემოკრატებმა ხელ მეორედ დაასახელეს თავისს საპრეზიდენტო კანდიდატად გროვერ კლიველანდი. დასახელება კანდიდატად კლიველანდისა და განუწყვეტელი, საშინელი ტაშის-კვრა ერთი იყო. კლიველანდს, როგორც ეტყობა, დიდი სიყვარული დაუმსახურებია ამერიკის ერისა.

კონვენტზე, რომელზედაც კლიველანდი დაასახელეს კანდიდატად, სწერს კორრესპონდენტი ერთის რუსულის გაზეთისა, 15,000 კაცი დაესწრო, დელეგატები და გარეშე საზოგადოება. სიტყვა წარმოსთქვა ირლანდიიდამ გადმოსახლებულმა და ახლა სრულიად გაამერიკანებულმა, შესანიშნავმა ორატორმა დანიელ დოგერტიმ. დაასახელა თუ არა კანდიდატად ორატორმა კლიველანდი, ისეთი სიხარულის ჟრიამული ასტეხა ხალხმა, რომ კინაღამ კედლები დააქცია შენობისა.

ასეთი ამბავი არც ერთს საერო კონვენტზე არ მომხდარა. ის ამბავიც-კი, რომელიც დააწიეს ამერიკელებმა 1880 წელს ჩიკაგოში, ვერ შეედრებოდა სან-ლუის ამბავსა, თუმცა მაშინ იმისთანა სახელ-განთქმულისა და გმირის სადიდებლად შეიკრიბა კონვენტი, როგორიც იყო პრეზიდენტი გრანტი. 1884 წლის ამბავი, ბლენის პატივსაცემლად გამართული, ხომ მოსახსენებელიც არ არის წრევანდელს ამბავთან.

რა არის ამისი მიზეზიო? კითხულობს კორრესპონდენტი და თითონვე გულ-ახდით ამბობს, რომ მე თითონაც არ ვიცი რამ ააფეთქა ასე ხალხი, რამ აღაფრთოვანა და აღიტაცა იმოდენა საზოგადოება ასეთის თავ-დავიწყებით, გადაჭარბებითაო. ღირსება კლიველანდისა ის არის, რომ ეს კაცი მართლა საგანგებო პრეზიდენტია, ერთგული დამცველი სახელმწიფო ხაზინისა და დარაჯად უდგას სახელმწიფოს სიმდიდრეს, რომელზედაც არავის ხელს არ ათბობინებს მაგრამ ეს ისეთი ღირსება არ არის, რომ ხალხმა იმისი მქონებელი ხელით ატაროს. ხალხს გაიტაცებს ხოლმე ასე მხოლოდ ისეთი კაცი, გმირი, რომლის ღირსებანი ადამიანის გრძნობაზედ მოქმედობს. ასეთი გმირი იყო, მაგალითად, აბრაამ ლინ-

---

ვე წამომდგარიყო და ყოველსავე ჩემს მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებდა. დავაცქერდი... რა დაღონებული და დაძმარებული იყო! რამდენი ტანჯვა გამოიხატებოდა იმის მხიარულებას ჩვეულს სახეზედ. გული მეთანაღრებოდა და მეთუთქებოდა იმის შემაცქერალს. საქმე გათავებული იყო, ესროლა თოფი რობერტს და გამოასალმა ამიერობას, ამას აღარა ეშველებოდა-რა. ნეტა ანტონიაზე რაღასა ჰფიქრობდა? რამ აალებინა ხელში სიცოცხლის მომსწრაფავი იარაღი,—ცოლის გაიდობამა და ალსარებამ, თუ იმან, რომ ყმაწვილი კაცი ანტონიას წაეტანა, მოეხვია და ძალ-დატანებას უპირობდა? მეტად უნდა გავფრთხილებულიყავ და მხოლოდ იმაზე ჩამომეგდო სიტყვა, რაც იმან იცოდა და რაც გაგებული ჰქონდა.

— რაო?.. იკითხა დონ კარლოსმა აზრის დაუსრულებრივ.

მივხვდი არა-თქმულს.

— თითქმის რომ გათავებულია-მეთქი,—ვუპასუხე,—და ეხლა თქვენს დარდს უნდა მოერჩეთ.

ჩემი ძველი მეგობარი სავარძელში დაეშვა ულონოდ და უძლურად და თან ჩურჩულებდა:

— მაშ... მე კაცის მკვლელი ვარ, კაცის-მკვლელი!

— გამიგონე—მივუბრუნდი ინდოელს, რომელიც კარებთან იყო აყუდებული,—წადი ახლავე და ორი ცხენი შეჰკაზმე, ისე-კი, რომ არავინ დაგინახოს, არავინ გაგიგოს. შენ ძალიანაც არ უნდა გიყვარდეს მოსამართლენი, განა?

ლეანდრომ ღონივრად გაიქნია თავი უარის ნიშნად.

— ჰო-და, რაც შეიძლება შორს უნდა წაიყვანო და მოაშორო მაგათ შენი ბატონი, მთებში, იმ დრომდე მაინც, ვიდრე მოსამართლენი ქალდეის ჯლაბნას მორჩებიან. გესმის?

ინდოელმა თავი ჩამოიკანტურა და გავიდა.

— ხომ გაიგონეთ, რაც ვუთხარი ლეანდროს?—ვკითხე დონ კარლოსს და მხარზე ხელი დავადე.

— გავიგონეო—მიპასუხა მოხუცმა და ანტონიას სარეცელთან მივიდა,—გავიგონე, მაგრამ მე-კი არსად არ მინდა წასვლა.

— აპა, საჭიროა, უეჭველად საჭიროა, რომ წახვიდეთ. მოსამართლენი, ჩვეულების წინააღმდეგ და თავისდა უნებურად, ძალიან სასტიკად დაიწყებენ ამ საქმის გარჩევას. მექსიკიდგან ბრძანება მოუვათ, რომ თავ-გამოდებით მოეკიდნენ ამ ამბავს, რადგან დაზარალებული ელჩის ძმისწულია.

— ანტონიას თავს ვერ დავანებებ.

— აბა სწორედ მაგიტომაც უნდა მოშორდეთ აქაურობას, ჩემო მეგობარო, თუ ანტონიას სიკეთე გინდათ. რამდენსამე დღეს შემდეგ ან თქვენი მეუღლე წამოვა თქვენსკენ, ან თქვენ ჩამოხვალთ.

— რად დავიმალო თავი? კეთილშობილის ჩამომავლობისა ვარ და ციხეში ვერ ჩამსვამენ. თუ დამაპატიმრებენ, აქავე, ჩემს სახლშივე დამამწყვდევენ.

— თქვენ პასუხი უნდა აგოთ უცხო ქვეყნელის მოკვლისათვის და მე იმას ვამჯობინებ, რომ აქედგან მოშორებით მოელოდოთ ამ საქმის გამორკვევას და ან სრულიად მოსპობას. ეს არის ეხლა ვუთხარი ორივე პრეფექტებს, რომ თქვენ შემთხვევით ..

დონ კარლოსი წელში გაიმართა და თვალები გაუბრწყინდა.

— არა, არა, შემთხვევით-კი არ ვესროლე თოფი თქვენს თანამემამულეს—წამოიძახა კბილთა ხრჭენით,—შემთხვევით-კი არა, არამედ იმიტომ, რომ მან გაჰბედა და შეურაცხყოფა მიაყენა ჩემს მეუღლეს. ვხედავდი, როგორც თვალს არ აშორებდა, უკან დასდევდა. როცა ანტონიამ დაიკივლა, მე ხელში თოფი ჩამივარდა და...

თავისუფლად ამოვისუნთქე. კარლოსს მართო ანტონიას კივილი გაეგონა და იმის აღსარებისა-კი არა იცოდა-რა. გულში მიხაროდა, რომ ჩემის მეგობრის არა-ხანგრძლივი სიცოცხლე ორის მხრივ მაინც არ იქმნებოდა მოწამლული და მოშხამული.

გათენებისას ორივე პრეფექტი მოვიწვიე სასტუმრო ოთახში და ვუამბე, რომ დონ კარლოსს თოფი ეჭირა ხელში, არ იცოდა, რომ გატენილი იყო, რადგან დილას ქორი მოკლა იმ თოფით, უცაბედად გავუვარდა და მოხვდა რობერტს მაშინ, საცა იგი ჩემთანა და დონა ანტონიასთან ერთადა ბაასობდა-მეთქი. ორთავენი ჭკვიანი კაცები იყვნენ, აღარ დამიწყეს მეტი გამოკითხვა და იმდენი თავაზიანობაც გამოიჩინეს, რომ ბაქნისაკენ ზურგი მიიბრუნეს, როცა დონ კარლოსმა გაიარა ლეანდროსთურთ. მზის ამოსვლისათანავე პირველად მოხელენი გაუდგნენ გზასა და დანარჩენი სტუმრები-კი ცხრა საათზე ძლივს გაემგზავრნენ. მართალი რომ ვსთქვა, ძალიან მესიამოვნა, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და მიყუჩდა და მიწყნარდა იქაურობა.

მაშინვე შევუდექი რობერტის დაბინავებას და ტახტზე დავასვენე სწორედ იმ ადგილას, სადაც უბედურება შეემთხვა. მამულში მომუშავე ინდოელნი მოდიოდნენ იმის სანახავად და ცნობის-მოყვარეობით ათვალიერებდნენ. ქალები დიდხანს დასცქეროდნენ ლამაზს ყმაწვილს კაცს, რომელიც უფრო მძინარესა ჰგვანდა, ვიდრე გარდაცვლილს, და დიდ-ძალს ყვავილებს აყრიდნენ განსვენებულსა.

კვლავ წაველი დონა ანტონიასთან. იქ გარდაცვალებულის ბიძას ვრცელი წერილი მივსწერე და დონ კარლოსის პატიოსნება იმას ვანდე, შევახვეწე. მოვრჩი თუ არა წერილს, ინდოელის ხელით გავგზავნე მექსიკაში. წერილი სამს დღეზე ადრე არ მივიდოდა დანიშნულებისამებრ.

საღამო ხანზედ ჩემმა ძვირფასმა ავადმყოფმა თვალები წამოახილა და, როგორც ეტყობოდა, ჩემი ნახვა ეცა. დავიხარე და დავუწყე გამოკითხვა, როგორა ხარ-მეთქი. ანტონია სრულს გონებაზედ იყო, მაგრამ წინა დღის ამბავი-კი გარკვევით არ დახსომებოდა. რამდენჯერმე მთხოვა, რომ ქმარს დამიძახეო.

— აღარ უნდა განა ჩემი ნახვა, ექიმო?—მკითხა ყმაწვილმა ქალმა და თვალები დამაშტერა.

— ეს არის აქ იყო-მეთქი,—ვუთხარ მე, რომ დამემშვიდებინა.—გაკოცა, სახელი გიძახა, უნდოდა გაეღვიძებინე, მაგრამ ტკბილს ძილში იყავ და მოგერიდა. ორიზავეში გავგზავნე წამლების სასყიდლად.

ანტონიამ თავი გაიქნია და პირი

კოლნი, რომელიც გაუმკლავა მონობას და მისპო ბატონ-ყმობა და ადამიანის ყიდვა, იყო აგრეთვე ჯუზეპე, გარიბალდი, გრანტი, ქვეყნის მხსნელი და დამფარველი, გამბეტა, საოცარის მჭევრმეტყველებით დაჯილდოვებული, და თითო-ოროლა კიდევ სხვანი, მაგრამ კლიველანდს საიმისო ღვაწლი-კი არა მიუძღვის-რა. ამისი მოღვაწეობა ის არის, რომ თავად ქურდი არ არის და სხვასაც არავის არ აპარვინებს. სწორედ ეს ღვაწლი თუ არის მიზეზი კლიველანდის ასეთის თაყვანებისა, თორემ სხვა მიზეზი უფრო არა სჩანს-რა. სამოქალაქო რეფორმისათვის, რომლის მომხრეც იყო კლიველანდი, ერი ასეთის ალტაცებით არ მიეგებებოდა იმის პრეზიდენტობას. ამბობენ, ის თუა მიზეზი, რომ ამერიკელები ძალიან გულჩვილი ხალხია და რაკი კლიველანდმა ისეთი ლამაზი და ყმაწვილი ქალი შეირთო ცოლადა და ისე ბედნიერად სცხოვრობენ ცოლ-ქმარნი, ამერიკელებიც სდნებიან და სიხარულის ცრემლებსა ჰღვრიან იმათი მაყურებელნიო. მაგრამ რა სათქმელია, რომ ეს გარემოება იყოს მიზეზი კლიველანდის სიყვარულისა ერის მიერ. ანკი რა არის სასიამოვნო და სანატრელი იმაში, რომ 50 წლის, ჩასუქებული, 8 ფუთის სიმძიმე, კაცი ქმარია და ბედნიერი ქმარიცა 20 წლის ლამაზისა და ცოცხალის ახალგაზდა ქალისა?

სახეში მისაღებია ამ შემთხვევაში ის საშინაო პოლიტიკა, რომელსაც კლიველანდი ადგია. ეს პოლიტიკა უარ-ჰყოფს ყოველ გვარს ბაჟებს და ტარიფებს და აღიარებს ვაჭრობის თავისუფლებასა.

## წვრილი ამბები

გენერალს ბულანჟეს ორი მდივანი ჰყავს თურმე, სამი ხელზედ მოსამსახურე, 2 მეჯინიბე, 1 ცხენების მომვლელი, 1 მზარეული დედაკაცი და 1 იც ხელზედ მოსამსახურე დედაკაცი. სახლის ქირას 6,000 მან. აძლევს, ხოლო წელიწადში სულ 75,000 მან. ჰხარჯავს. თითქმის ამდენსავე ჰხარჯავს ბულანჟეს მეუღლე, რომელიც თავისის ქალებითურთ ცალკე სდგას ქმრისაგან ვერსალში. გენერალის სახლობას მშვენიერი სადგომი უჭირავს და ძალიან ხელ-გაშლილად სცხოვრობს. სახელმწიფო ექს-გენერალს წელიწადში პენსიად 4,000 მან. აძლევს.

— პროფესორს გრეის, ამერიკელს, ილინოისის შტატში მცხოვრებელს, გამოუგონია ახალი აპარატი, რომლისათვისაც ტელავტოგრაფი (telautograph-ი) დაურქმევია და რომელიც სრულიად განდევნის ხმარებისაგან ტელეფონსა. ამ აპარატის წყალობით მსურველთ შეუძლიანთ მიწერ-მოწერა გაჰმართონ ტელავტოგრაფიულის მავთულის შემწეობით 70-დგან 3,500 ვერსის მანძილის მოშორებით. მიმწერმა უნდა აიღოს ხელში ყარანდაში და დასწეროს წერილი; რამდენსაც ესა სწერს, იმდენი მეორე მხარეს იწერება ყარანდაშითვე სწორეთ იმისთანავე სიტყვები. ერთის სიტყვით, ერთი ყარანდაში მეორეს ამოქმედებს და სწორედ ისეთს მიმართულებას აძლევს, როგორსაც თითონ მისდევს. ასე წარმოიდგინეთ, ერთს მხარეზე რომ სურათსა ჰხატავდეს კაცი, მეორე მხარეზედ სწორედ ისეთივე სურათი იხატება ათასისა და ორის ათასის ვერსის მანძილზედ. სამხატვრო ჟურნალის კორრესპონდენტს ტელავტოგრაფის შემწეობით შეუძლიან რკინის გზაზედ მომხდარი უბედურება სურათად გარდასცეს რედაქციას, ისეთისავე სისწრაფითა და სიადვილით, როგორც რეპორტიორს შეუძლიან ამბად მიწერა.

— ბედისაგან დიდად დასაჩუქრებულსა და ნაწყალობევს ბ-ნს ფიგნერს, გამოჩენილს მომღერალს, თავისის თანამგზავრ ქალითურთ, რუსეთში მოგზაურობა დაუსრულებია. იმასთან ერთად უმოგზაურნია აგრეთვე ვიღაც ქ-ნს ფ., რომლის შესახებაც პროვინციის გაზეთებში ბევრი სასაცილო ამბავია მოთხრობილი. ამ ქალბატონს, ახალგაზდასა და შეძლებულს ქვრივს, ძალიან მოსწონებია მომღერალი ყმაწვილი კაცი და იმისის ნიჭით აღტაცებაში მოსულა. ფიგნერი შექმნილა ამ ქვრივის ბომონი და იდეალი, როგორც იტყვიან ხოლმე ნაზნი და ჰაეროვანნი ყმაწვილნი ქალნი. ამ გაზაფხულს გაუგია თუ არა, რომ ფიგნერი პროვინციაში მოგზაურობას აპირობსო, ქ-ნს ფ.-ს გადაუწყვეტია, რომ თან უნდა გავყვე და უეჭველად მეც იმასთან ერთად ვიმოგზაუროვო. მაგრამ როგორ მოეხერხებინა ეს სურვილი? როგორ უნდა მოეგვარებინა ისე, რომ თავისი ბომონი გვერდზედ ჰყოლოდა, სულ რამდენსამე ნაბიჯზედ? ბომონი იგი თავისუფალი არ იყო, ხოლო იტალიელ ქალებს-კი მოქიშპე, არშიყობაში მონაწილე და ამხანაგი არად ეპიტნავებათ. არამც თუ მარტო იტალიელს ქალებს, მგონი ქართველი ქალებიც არ არიან აცილებულნი ამ სენსა. მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს ქვრივი ქალბატონი მეტად ჯიუტისა და თავის ნათქვამის ხასიათისა იყო. არტისტის სამოგზაუროდ წასვლის რამდენისამე დღის წინად იგი მივიდა თურმე ფიგნერთან სახლში და უთხრა, რომ მოახლედ დაგიდგებითო. მომღერალმა, რომელსაც ზამთარში ენახა მდიდარი ქვრივი, მეტად გაოცებულმა, თავაზიანად უარი უთხრა. „თუ ღმერთი გრწამს, დამსთანხმდით და მოახლედ დამიჭირეთ! — ეხვეწებოდა ქვრივი: — სწორედ სამაგალითო მოახლეობას გაგიწევთ". მომღერალმა უარის ნიშნად თავი გააქნია. „არ გინდათ? მაშ რაკი აგრეა, პატიოსანს სიტყვას გაძლევთ, რომ ეგრე ადვილად ვერ მომიშორებითო". — წამოწიწმატდა ქვრივი და შეასრულა კიდეც თავისი სიტყვა. რა მატარებლითაც მიდიოდა ფიგნერი, ან რომელს სასტუმროშიაც უნდა ჩამომხტარიყო, თაყვანის მცემელი ქვრივიც იქ ჩნდებოდა თურმე და თითქმის ყოველს საათს თვალ-წინ უდგა. ეს მოსიყვარულე ადამიანი სწორედ ცეცხლასანთ დავა გაუხდა საბრალო მომღერალს, რომელიც ამ ახირებულის ადამიანის თავიდგან მოსაშორებლად ათას გვარს ხრიკსა და ხერხსა ჰხმარობდა და ერთხელ სარატოვსა, თუ ყაზანში დეპეშით მთელი სასტუმრო დაიჭირა, რომ იქნება პატივცემულმა ქვრივმა სადგომი ვერ იშოვნოს და თავი დამანებოსო. მოვიდა თურმე საღამოზედ სასტუმროში, არ შეჰხვდა მომაბეზრებელს თაყვანის-მცემელს და მშვიდობიანად, გულ-არხეინად დაიძინა, ხოლო დილაზედ-კი... დილით, როცა ყავა მოითხოვა, იმ შეუბრალებელმა და შეუწყალებელმა ქალბატონმავე მოართვა თურმე ფინჯანით მოთხოვნილი ყავა...

## განსართობი

ამას წინად მილანში საერთა—შორისო კონგრესი იყო ზოგიერთ ბნელ სიტყვათა და მოვლენათა გამოსარკვევლად. კონგრესმა, სხვათა შორის, დაადგინა, რომ მცოდნე კაცთა ვკითხოთ შემდეგი საინტერესო საკითხი: „რას ჰნიშნავს სიტყვა ცივილიზაციაო". ეხლა ზემოხსენებულს საზოგადოებას სია დაუბეჭდია მიღებულ პასუხებისა, რომელიც-კი ქვეყნის ყველა მხრიდგან მოსულია. ამ პასუხთა გადასარჩევად ამოურჩევიათ მოლტკე. ჯერ-ჯერობით სიაში ცოტა პასუხებია დაბეჭდილი, ხოლო ყველა-კი მეტად საყურადღებოა. ზოგიერთი მეტის-მეტად ჩვეულებრივია, არაფრით გაირჩევა და ზოგიერთი-კი ადამიანს აოცებს თავისის სივრცით. მაგალითებრ, ვიღაც უცნობს კაცს მიუნჰენიდგან მოუწერია თითქმის მთელი დისერტაცია ამ სიტყვის ასახსნელად და გამოსარკვევლად და ამასთან იწერება, რომ შემდეგი კიდევ იქნებაო. პროფესორს ბეინბაკლეიდს ამავე საგანზედ გამოუცია პატარა წიგნაკი 19 ფურცლად და სხვანი. ჩვენთვის სხვებზე უფრო მეტად საყურადღებოა გაზეთების აზრი და ამიტომ მოვიყვანთ ზოგიერთებს:

„Times"-ი: ცივილიზაცია ის არის, რომ დაცულ იქმნას ბრიტანიის ინტერესები ხმელეთზედაცა და ზღვაზედაც, რომ ინგლისმა დიდი გავლენა იქონიოს ეგვიპტეზე და რომ ქაბული შემოიერთოს.

„France": ცივილიზაცია გახლავსთ გამარჯვება გონებისა და გემოვნებისა გონების სიბნელესა და უგემოვნებაზედ. ერთის სიტყვით, ცივილიზაცია ის იქნება, რომ ელზას-ლოტარინგია კანონიერს პატრონებს დაუბრუნდეთ. Yive Boulanger!

„Riforma": როცა ერთი ეუბნება მეორეს, რომ „მიილეო!" და აძლევს კიდეც—ეს ცივილიზაციაა.

„Observatore Romano": ჭეშმარიტი ე. ი. წმ. კათედრის დოგმატებთან შეფარდებული და შეთანხმებული ცივილიზაცია არის პეტრეს უწმინდესის მემკვიდრის სამოქალაქო უფლებათა აღდგენა.

„Czas"-ი: დიპლომატია ხშირად სარგებლობს მარტო სიტყვით „ცივილიზაცია" და თუმცა თქმით ზედ ეფაფრება, საქმით-კი იმის წინააღმდეგ იქცევა... სხვა არა იყოს და არა არის-რა ცივილიზაცია, თუ არ ის, რომ სრულიად პირქვე დაემხოს ბარბაროსობა...

„Fremdenblatt"-ი და «Pester Lloyd»-ი: ცივილიზაცია იგივე იეზუიტობაა სარწმუნოებაში და მაკიაველობა პოლიტიკაში, დღესასწაულია ძალ-მომრეობისა, მოღალატეობისა და მოტყუებისა. აღმოსავლეთის სახელმწიფოს ძირს დამხობაა. ეს არის ჩვენი გულახდილი პასუხი.

„Norddeutsche Allgemeine Zeitung"-ი: ცივილიზაცია, რომლითაც ბოროტ-მოქმედებენ ძველის რჯულის დიპლომატები, ჩვენის აზრით, არის ან ჯერ ცოტა სახელ-გატეხილი კბილის წამალი, ან—ეს-კი უფრო ჭეშმარიტი უნდა იყოს—აშკარა დედა-აზრი: „dout des", ან უკეთესი: «des» უ-„do"-ოდ...

„New-York Herald"-ი: ცივილიზაცია გახლავს თერთმეტის ასოთი შედგენილი სიტყვა. ამ სიტყვას ჩვენში იშვიათად ჰხმარობენ, რადგან წარამარა სიტყვებზედ დროს დაკარგვა არ უყვართ.

„Le Nord"-ი: სახელმწიფოთა მეგობრად შეერთება და ერთმანეთის თანხმად მოქმედება ყველგან ლეგიტიმიზმის დასაცველად და ხელ-შეკრულობათა პატივსაცემლად არის, ჩვენის აზრით, ის პოლიტიკურად შესაძლებელი ბედნიერება, რომელსაც ევროპიის ცივილიზაციას უწოდებენ.

სტამბულლოვის „თავისუფლება": ცივილიზაცია ორ-პირი მახვილია!!

„Taric"-ი: ჩვენს სტამბოლში ჰგონიათ, რომ ცივილიზაცია იქნება, როცა ერთს ადამიანს ორს ტყავს გააძრობენო.

„Journal de St.-Pétersbourg"-ი: მოკლედ რომ ვსთქვათ და ამასთან უპატივოდ არ მოვიხსენიოთ, ცივილიზაცია განხორციელდება ევროპის დიპლომატიაში.

## დეპეშა

28 ივნისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ახალის ოც-და-ხუთის მანეთიანის ქაღალდის აღწერილობა: ეს ფული და-

---

კედლისაკენ მიიბრუნა. ცოტა ხანს შემდეგ შემომესმა, რომ სტიროდა: ყველაფერი გაახსენდა!

შუაღამისას, თითქმის საიდუმლოდ, —მექსიკაში გარდაცვალებულთ დიდის ყოფითა და ამბით არ ასაფლავებენ, —რობერტის გვამი გადასვენეთ თეკილას სასაფლაოზედ. იგი ასაფლავია იმ ბზის ჩრდილს ქვეშ, რომელიც ჩემის ბრძანებით დარგეს, და ზედ ქვა ადევს. ქვაზედ იმის სახელის მეტი სხვა არაფერია აღნიშნული.

მეორე დღეს ანტონია წამოდგა, თუმცა-კი ოდნავ აციებდა, და ჩემს ხელზე დაბჯენით სიარული სცადა. ყმაწვილმა ქალმა ყველაფერი იცოდა, რობერტის სიკვდილიცა და ქმრის განდევნაც. ძლივს დავარწმუნე, სჯობს რამე, რომ მოღონიერდე და დონზედ დასდგე-მეთქი. იგი მეტის-მეტად სუსტი იყო და ადამიანის ფერი აღარა ჰქონდა. იმის მნახველს კაცს ასე ეგონებოდა, რომ საბრალოს მწუხარებით სისხლი სრულიად გამშრობიაო.

— დონ კარლოსს დამნაშავე და მოღალატე ეგონივარ, განა?—მკითხა უეცრად.

— არა, იმას მარტო შენი კეთილი გაუგონია და თავ-დავიწყებულს...

— უნდა მოგეხსენება, დამეჯერა თქვენი გაფრთხილება და ჩემის გონებისაც, რომელიც იმასვე მირჩევდა, რასაც თქვენ. რაღაცა თავ-დავიწყებამ და სიგიჟემ შემიპყრო და ამიტაცა. მართალია, ვიტანჯებოდი, მაგრამ ის ტანჯვა რა ბედენაა ჩემს ეხლანდელს გვემასა და წამებასან?!

— მართალს ამბობ,—ჩავილაპარაკე ნაღვლიანად,—ადრე კი ვიგრძენ სატკივარი, მაგრამ წამალი ვერ გამოვუნახე და ვერა. მე ადრევე უნდა... მაგრამ ეჰ.. შენ-კი სასოს ნუ წარიკვეთ, გაივლის დრო, დამშვიდდებით, ყველაფერი დაგავიწყდებათ... ბედნიერება და სიხარული კვლავ დაგიბრუნდებათ.

— დროებით იქნება დავმშვიდდე, მაგრამ დავიწყებით-კი, არასოდეს, არასოდეს არ დამავიწყდება! საშინელს მდგომარეობაში ვარ... ვიტანჯები და თან ვგრძნობ, რომ ღირსიცა ვარ ამ ტანჯვისა, ღირსი.

— არა, შენ მსხვერპლი იყავი და მსხვერპლივე ხარ.

— მსხვერპლი?—წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა.—კაი მსხვერპლობაა, როცა საყვარელი კაცი დაღუპე და ქმარსაც ადამიანის სისხლი დაალევინე.

დიდხანს ვებაასე და ვსცდილობდი უკურნებელი სულის ტკივილი შემემსუბუქებინა.

— თქვენ კეთილი ხართ, ექიმო,—მითხრა ანტონიამ,—და კარგია, როცა ამისთანა დროს ახლო მყევხართ. დამეხმარებით, განა, რომ დონ კარლოსი ვანუგეშო. ეს-ღა იქნება ჩემი ერთად-ერთი სურვილი ამ ქვეყნად. ის, რაც იმან მოიქმედა, ყოველთვის ავაზაკობა ეგონება და სინიდისის ქენჯნას ვერ აიტანს, ვერ გაუძლებს—კარგა ვიცი, რა გულისაც არის,—ჩემსავით თან გადაჰყვება ამ სულიერს ავადობას.

მე ვუბრძანე ტახტრევანდი მოემზადებინათ და, როცა ანტონიას ოთახიდგან გამოვედით, მთელს სახლზე უნდა გაგვევლო. ყვავილის თაიგულები დამჭკნარიყო, ყველგან აულაგებელი თეფშები, ბოთლები და ჭიქები ეყარა. სასიამოვნო სანახავი არ იყო ამ არეულობის ნახვა. ბაქანზედ რომ გავიარეთ, ანტონიას კინაღამ გული შემოეყარა. თუმცა უარს ვიყავი, მაინც ჯერ ფეხით სეირნობა მოინდომა და როცა სასაფლაოსთან მივედით, ყმაწვილი ქალი შესდგა და დამაცქერდა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რადსაც გამოიკლა თავი ფეხით სიარულისათვის.

— დიაღ—ვუპასუხე იმას მუნჯს საკითხზედ,—აქ ასაფლავია. ყმაწვილმა ქალმა ილოცა, შემდეგ ტახტრევანდზე ავიდა და ფარდები მოაფარა.

მე ცხენს შევახტი და უკანასკნელად გადავხედე განათებულს ხეობას, სადაც მკაფიოდ გაისმოდა ჩანჩქარის ხმაურობა, და ფიქრმა წამიღო: დონ კარლოსი გარდაიხვეწა, რობერტი გარდაიცვალა, ახალგაზდა ქალი, რომლის ქვითინიც მომესმოდა, საუკუნო ტანჯვაში უნდა ყოფილიყო. კვლავ გამიარა თვალ-წინ ხორულომ, „უბედურებათა ქვეყანამ". ჩვენდა საბოლოოდ, ადამიანიშვილის უბედურება იგივე მიწის რყევაა, მიწის ძვრაა... ტყუილი შიში არა მქონდა...

ექვსმა წელიწადმა გაიარა მას შემდეგ, რაც რობერტი ბზას ქვეშ განისვენებს. განვლო ხუთმა წელიწადმა იმ დღიდგან და მთიდგან დაბრუნებულმა კარლოსმაც, სადაც ანტონიაც წავიდა მასთან, საუკუნოდ განისვენა იმის გვერდით, ვისი დასისხლიანებული სახეც მომაკვდავის სინიდისს უკანასკნელს წუთამდე სტანჯავდა. ანტონია ამ ქვეყანას განშორდა და მონასტრის კედლებს შეეკედლა. ამ ერთის წლის წინად ისიც იმავე ბზას ქვეშ მიაბარეს მიწას. დიდის წვალებით ავიღე მონასტრის მთავრობისაგან ნება-რთვა, რომ უბედურის ადამიანის გვამი იმათ გვერდზედ დამემარხა, რომელთა ბრალიც კისრად იდო და ღვთის სახლს შეესავანა, რომ ღმერთისათვის შეევედრებინა უდროოდ გარდაცვალებულთა სული.

. . . . . . . . . . . .

აღესრულე თუ არა უკანასკნელი სურვილი და ნება ჩემის ახალგაზდა მეგობარისა, დავბრუნდი სახლში და მოთხრობა დავწერე ამ საერთოდ გაუბედურებულის ადამიანებისა, რომელთა ჭეშმარიტი თავ-გარდასავალი ორიზავეს ბევრმა მკვიდრმა არ იცოდა. საქმე იმაში გახლავსთ, რომ საფრანგეთის ელჩი, რომელსაც არა დაუმალე-რა წერილში და ყოველისფერი აეუხსენი, წინა აღუდგა ამ საქმის გამომძიებელის ხელში ჩაგდებას და ამით დაამტკიცა, მარტო თავისი ჭკუა-კი არა, არამედ დიპლომატიური მოხერხებულებაცა. მართალი-კი რომ სთქვას ადამიანმა, შურის-მეძიებელი და მაგიერის გადამხდელი, ან დასასჯელი აღარავინ იყო, რადგან სამნივე მომქმედნი პირნი იმისთვის დაიხოცნენ, რომ წმინდა გულით უყვარდათ ერთ-ურთი. განა მართალს არ ვამბობ, მკითხველო?

ორ-ანი

ბეჭდილი უნდა იყოს თეთრს ქაღალდზე, რომელშიაც აბრეშუმი იქნება ჩართული. კარგს პირზე მხატვრობისა ლური იქნება, ღია მიხაკის ფერის ალაგზე. მეორე პირზე იის ფერისა იქნება და შუაში მედალიონი უნდა იყოს გამოხატული სახელმწიფო ღერბითურთ.

ვენა. დედოფალმა ნატალიამ უარჰყო სინოდის აზრი და ამიტომ სინოდი მზად არის დაუყოვნებლივ განაქორწილოს მეფე და დედოფალი. იმედი აქვსთ, რომ დედოფალი დასთანხმდება იმ პირობაზე, რომელიც იმას წარუდგინეს. მეფე თანახმაა წლიურად აძლიოს დედოფალს სამასი ათასი ფრანკი, დაუტოვოს მემკვიდრე პრინცი 1892 წლამდე, ხოლო დედოფალს ნება არ უნდა ჰქონდეს ბელგრადში მოსვლისა. თუ დედოფალი დასთანხმდება ამ პირობაზე, მაშინ მეფე განქორწინებას არ ითხოვს.

დარმშტადტი. პრინცმა ალექსანდრე ბატენბერგმა დაცემის დროს ზურგის ხერხემალი დაიზიანა.

29 ივნისი

პეტერბურგი. აქაურმა ბირჟის კომიტეტმა დაადგინა დაჰკეტოს ბირჟა რუსეთის მირონ-ცხების დღესასწაულს დღეს, პარასკევს, და სამაგიეროდ ბირჟა გაღებული იქნება 14 ივლისს. 15 ივლისს-კი ბირჟის სადგომში გარდახდილ იქმნება პარაკლისი.

გაზეთს „Гражданинъ“-ს შეუტყვია, რომ დედოფალი ნატალია რუსეთში აპირებს წამოსვლასაო.

პარიჟი. პალატაში კანონ-პროექტი შეუტანიათ, რომ გამაგრებულ იქმნას შერბურგისა, ბრესტისა და ტულონის ნავთ-სადგურები. ზღვათა მინისტრმა ითხოვა, რომ ეს კანონ-პროექტი დაუყოვნებლივ შეიწყნარეთო. სენატმა შეიწყნარა კანონ-პროექტი, რომ შევსებულ იქმნას ჯარები. სამსახურის ვადა სამის წლისა უნდა იყოს.

ვენა. სერბიის დედოფალმა ნატალიამ სიტყვა მისცა გერმანიის მართებლობას, რომ ვისბადენიდგან არ წავალ, სანამ ჩემი საქმე გადაწყვეტილი არ იქნებაო. დედოფალი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ვისბადენის პოლიციის უფროსმა ჰკითხა გუშინ ნატალიას: თანახმა ხართ, თუ არა მემკვიდრე პრინცი ჩააბაროთ გენერალს პროტიჩსაო? დედოფალი ამ აზრზე არ დასთანხმდა. ბისმარკის ბრძანებისამებრ ნატალიას აცნობეს, რომ სერბიის მემკვიდრე პრინცი, გერმანიის კანონის ძალით, უნდა გადასცეს მეფე მილანის რწმუნებულს კაცს. მემკვიდრე პრინცსაც მთავრობა თვალ-ყურსადევნებს. ამბობენ, ვითომ ვისბადენში ჩამოსულიყვნენ ვიღაცა საეჭვო კაცები, რომლებმაც პრინცი უნდა მოიტაცონო.

30 ივნისი

პეტერბურგი. „Новое Время“ გვაუწყებს, რომ სახელმწიფო ბანკი თავისს განყოფილებებში გაჰმართავს საკომისიონო ოპერაციებს და მიიღებს იმ ქალაქებში რკინის გზის გასაგზავნ საქონლების ბარათებს, რომლებშიაც ბანკის განყოფილება იმყოფებაო.

გუშინ გარდაიცვალა ბეჭდვათა საქმის უმთავრესის მმართველობის ნაუფროსალი, სენატორი პავლე პეტრეს ძე ვიაზემსკი.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისი

| | მოთხოვ-ნა. | გამოცემ-ლია. | გაცემ-ლია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 40 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 167¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 249¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

ვამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 › |
| „ 2 „ | 2½ „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 3½ „ |
| „ „ 3 „ | 3 „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 |
| მე-2 ხარისხისა | 4 |
| მე-3 — | „ „ |
| ძროხის ხორცი | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| ღორის ხორცი | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

მასწავლებელი და ხელ-მეორედ ეგზამენში ტფილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში დაიწყება და გათავდება 26 და 27 აგვისტოს. ვინც პირველს კლასში შემოსვლას მოინდომებს, უნდა იცოდეს პირველ-დასაწყისის სკოლის საგნები: წლოვანობით უნდა იყოს არა ნაკლებ 13½ და არა უმეტეს 18 წლისა. ჯანი საღი და მრთელი უნდა ჰქონდეს. თხოვნა და საბუთები (მეტრიკის მოწმობა კონსისტორიიდამ და ყვავილის აცრისა სამკურნალოდამ) მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში 1-დამ 15 ივლისამდე და 22-დამ 26 აგვისტომდე ყოველ-დღე, დილის 10 საათიდამ 12 საათამდე. (3—3)

მიიღება დასაბეჭდად ყოველ გვარი განცხადება მომავალ 1889 წლის

საქართველოს კალენდარში.

ფასები:

ერთი გვერდი ღირს—4 მან., ნახევარი—2 მან., მეოთხედი გვერდი—1 მან.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილისში ექვთიმე ხელაძეს, ფოთში ბესარიონ კალანდაძეს და ქუთაისში ძმ. ჭილაძეთა.

გამ. გუნია

ნამდვილი საუნჯეა

ყველასათვის განთქმული წიგნი

თავის მკურნალი

თხზ. დ—რის რეტაუსი

რუსულად გამოცემული 3-ის სურათით

ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—25)

დაიბეჭდა და ისყიდება გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა), შედგენილი პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით გ. ს—შვილის მიერ.

ფასი ორი შაური.

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო წიგნი

ხუთი ამბავი,

ან. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური.

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, ქუთაისში—ქილაძეების მაღაზიაში, გორში—ცხვედაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე ისყიდება „მოლაღური“. (10—10)

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში:

ისტორიული მოთხრობა ქართველთა ცხოვრებიდამ

„მარინე“,

გადმოკეთებული ვალიკო გუნიას მიერ.

ფასი ექვსი შაური.

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . | ,, | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | ,, | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე